საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

ფასი 2 მანეთი

შაბათი, 8 ნოემბერი 1919 წ. № 196.

რვეული ქვეყანა

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი

ადმინისტრაცია

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 150 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ოდად. **სამგლოვიარო** განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ქვრივა ქსენია ნიკოლოზის ასული კორძაიასა შვილებით ძმა კოწია ელიზბარის ძე კორძაია, მეუღლით და შვილებით, აუწყებენ ნათესავთ. ნაცნობთ და მეგობრებს რომ, 40 დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 9 ნოემბერს დღით კვირას დილის ათ საათზე საფირჩხიის სასაფლაოზე

გრიგოლ იგივე (კვანჩილია) ელიზბარის ძე კორძაიას

სულის მოსახსენებლად. 2—1

კვირას, 9 ნოემბერს გადახდილ იქნება 6 თვის წირვა და პანაშვიდი საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში

ნადექდა სპირიდონის ასულის მდივნის

სულის მოსახსენებლათ: რასაც თვალცრემლიანი მეუღლე ივანე კონს. მდივანი, ქალიშვილი მარუსია—დედა მარიამ მიხეილის ასული—ჯინჯიხაძე, დები ნეოლინა იგივე (ლუტუ) სპირიდონის ასული ჯინჯიხაძე და ქსენია სპირიდონის ასული ჯაფარიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ.

2—2

ლაქის თეატრი.

სამშაბათს, 11 ნოემბერს გაიმართება

დიდი სალიტერატურო საღამო

შინაარსი:

I.

ოგოლ ამაღლობელი: წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: **„საქართველო და ქართველი ერი როგორც მშვენიერება.**

II.

ილ წერეთელი: წაიკითხავს: **ვეფხის ტყაოსანის იდეა და ფორმა.**

III.

ი. გრიშაშვილი.	სამსონ ყიფიანი.
ია ეკალაძე.	დია ჩიანელი.
ვალერიან გაფრინდაშვილი	შალვა კარმელი.
ალექ. გარსევანიშვილი.	რაჟდენ გვეტაძე.
დ. თომაშვილი.	ნიკ. ასათიანი.
თ. ხუსკივაძე.	

IV.

იუმორი.

ვას. ბალანჩივაძე.

ესტატე ჩიბურდანიძე.

ნემო—წაიკითხავს სცენებს ებრაელურ ცხოვრებიდან. (უფ.)

სპირდონ ნიკოს ძე კუბლაშვილი შვილებით დათიკო, შალვა, ვახტანგი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და შეგობართ, რომ 8 გიორგობისთვეს ქვედა საფიჩხიის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ელიზა (ელისაბედ) კუბლაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი კი დღის 1 საათზე, ეკლესიის გალავანში, სადაც დასაფლავებულია. 1—1.

ალექსანდრე ივანეს ძე მოკრიაკოვი, ზაქარია (იგივე ჭიჭიკო) ილია და დავითი გრიგორის ძე ვარდანაშვილები, ლიზა გრიგორის ასული მაღრაძე, ეკატერინა გრიგორის ასული ველიჩკო და თამარა გრიგორის ასული კალუჟენინი, ანნა დიმიტრის ასული ვარდანაშვილისა და ნიკოლოზ როსტომის ძე მაღრაძე აუწყებთ რა გადაცვალებას პირველის მეუღლესი, მეორეთა და მესამისა საყვარელის დის, მეოთხის მულის და მეხუთესი ცოლის დისა

მანია გრიგორის ასული მოკრიაკოვისა (ვარდანაშვილი)

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 9 ნოემბერს ახალი სტილით ნაშუადღევის 3 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, გორაზე ჭიჭიკო ვარდანაშვილის სახლებში. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ალექსანდრა საბას ასული კანდელაკისა აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 8 ნოემბერს წყალგაღმა უბანში, მესხეთის ქუჩის შესახვევში მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ვლადიმერ თომას ძე კანდელაკის

სულის მოსახსენებლად. 1—1

ვერა საბას ასული და ეკატერინა აქვსენტის ასული კიკნაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 8 ნოემბერს მთავარ ანგელოზის ეკლესიაში (წყალ-გაღმა უბანში) მესხეთის ქუჩის შესახვევში. გადახდილი იქნება 1 წლის წირვა და პანაშვიდი პირველის სიძის და მეორესი ბიძის

ვლადიმერ თომას ძე კანდელაკის

სულის მოსახსენებლად. 1—1

ქალაქის გამგეობის დადგენილების თანახმად ქალაქის სასურსათო განყოფილება

დაურიგებს შეშას დაწესებულებებს და მათ მოსამსახურეებს, როგორც განსაკუთრებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფთ, ამისათვის განყოფილება სთხოვს ყველა ქუთაისში მყოფ დაწესებულებებს ვისაც შეშა სჭირდება—სამი დღის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა წარმოადგინონ წერილობითი ცნობები გასათბობთა რაოდენობის შესახებ დაწესებულებაში და მოსამსახურეთა სია, შემოწმებული დაწესებულების პასუხის მგებელ უფროსის მიერ.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგის სიტყვა.

დამფუძნებელი კრების 4 ნოემბრის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა კ. კანდელაკმა უცნაური სიტყვა წარმოსთქვა.

ახალი 300 მილიონი მანეთის გამოშვება მოითხოვა, მაგრამ არავითარი ფინანსიური პერსპექტივების, არავითარი სისტემის, რომელსაც კრიზისიდან გამოყვანა შეუძლია, არა სთქვა-რა.

აღსანიშნავია, რომ მინისტრის ამხანაგს ახალი ბონების გამოცემა სრულიად არ მიაჩნია საშიშრად ფულის კურსის დაცემის მხრით.

გამოშვებული ქალალდის ფული იგივეა, რაც სახელმწიფო სესხი, ბძანა. და, თუ კი საფრანგეთში 1912 წელს სულზე 291 მანეთი ვალი მოდიოდა, რა საკვირველია, რომ საქართველოში სულზე 286 მანეთი ვალი მოუიოდესო.

მაგრამ განა ფულისა და სასესხო ანუ სარენტო, საპროცენტო ვექსილების გამოშვება ერთიდაიგივეა?!

როდესაც სახელმწიფო ფულს სესხულობს და საპროცენტო ანუ სარენტო ქალალდებს ანალდებს, ეს ქალალდები ფულის კურსს არ ამცირებენ, ვინაიდან პატრონები მათ ან ინახავენ ან მხოლოდ ვიწრო ფარგალში ატრიალებენ.

ქალალდის ფული კი, რომელიც პროცენტს არ აძლევა, სახალხო ბაზარზე გამოდის. ცხადია მაშასადამე, რომ, რამდენადაც მეტია მოტრიალე ქალალდის ფული, იმდენად ნაკლებია თვითო ცალის ღირებულება.

ეს რომ ასე არ იყოს, სახელმწიფო სესხსაც ალბრ აიღებდა და ყველა თავის მოთხოვნილებას ქალალდის ფულის გამრავლებით კმაჭყოფდა.

ამ მოლიპულ გზაზე სიარული საშინელ კატასტროფას გვიქადის.

უნდა ვიცოდეთ, სხვა ღონით, სხვა საშუალებით უნდა მოვუაროთ საქმეს.

მრეწველობა უნდა შეექმნათ, მეუნრნეობა უნდა გავაუმჯობესოთ, კერძო საკუთრების საფუძველი არ უნდა შევარყიოთ, სამოქალაქო მშვიდობა და წესი უნდა დავამყაროთ.

და ახალი ბონების გამოშვება აღარ დაგვჭირდება.

სხვა გზა და საშუალება არ არის.

ვასილ წერეთელი.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

ახალგაზრდათა კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობა. დასავლეთ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდათა კომიტეტმა პრეზიდიუმში შემდეგი პირები აირჩია; თავმჯდომარე ბიკ. აბესაძე (ყრილობამ აირჩია) ამხანაგებად მარიამ გელოვანის და შ. ლეკვიაშვილი. მდივნათ მიხ. შონია.

ახალი გაზეთი. დასავლეთ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდათა კომიტეტმა ხუთშაბათის კრებაზედ გადაწყვიტა აუცილებლივ გამოსცეს ახალგაზრდათა კომიტეტის ორგანო. გაზეთი იქნება დაახლოებით იმ ფორმატის როგორიც არის გაზ. „საქართველო“. გაზეთი თეთ ქალალდზედ გამოვა.

საგუბერნიო კომიტეტში წარმომადგენელი. დასავლეთ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიის ახალგაზრდათა კომიტეტმა გადასწყვიტა ქუთაისის სამაზრო კომიტეტში იყოლიოს თავის წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ახალი წიგნი. იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდლად ახალი წიგნი „საქართველოს შედარებითი გეოგრაფია? წიგნი „განათლების“ გამოცემაა.

ქალაქის თეატრი. დღეს შაბათს 8 ნოემბერს ქუთაისის ქალაქის თეატრში ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება სამ მოქმედებიანი დრამა „დამნაშავეა?“

ხვალ, კვირას, 9 ნოემბერს ქალ. თეატრში ალ. იმედაშვილის მონაწილეობით სარმოდგენილი იქნება შიუკაშვილის 4 მოქ. დრამა „მეგობრობა“

დიდი სალიტერატურო საღამო. სამშაბათს 11 ნოემბ. ქუთ. ქალ. თეატრში გაიმართება დიდი სალიტ. საღამო, რომელზედაც ლექციას წაიკითხავს გრ. ამაღლობელი „საქართველო და ქართველი ერი როგორც მშვენიერება“, ვ. წერეთელი—„ვეფხის ტყაოსანის იდეა და ფორმა“. საღამოში მონაწილეობას იღებს აგრეთვე ი. გრიშაშვილი, ია ეკალაძე, თ. ხუსკივაძე, ს. ყიფიანი, დ. თომაშვილი, ვას. ბალანჩივაძე და სხვა ახალი ძალები.

სტატისტიკის კურსები. ერობათა მთავარ კომიტეტი ამ დღეებში გახსნის ბთილისში სტატისტიკის კურსებს. ლექციებს იკითხავენ თბილისის სამაზრო ერობის შენობაში საღამოს 5—9 საათამდე. კურსებზე დაშობილნი იქნებიან ის პირნი, რომლებიც გაიგზავნებიან სამაზრო ერობებიდან.

არაყიშვილის ოპერა. სწარმოებს მზადება, რათა დადგმული იქნეს ოპერა არაყიშვილისა „ნაამბობი შოთა რუსთაველზე“.

იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორათ დაინიშნა გ. თ. ჟორდანია.

ცენტრალური სასურსათო საბჭო. ერობათა მთავარმა კომი-

დღიური.

ბოლშევიკები ყველა ფრონტებზე უტევენ.

საბჭოთა მთავრობამ ამინისტია გამოაცხადა ოქტომბრის რევოლიუციის ორი წლის თავზე.

ლიონის მუშათა გაფიცვებს ბოლშევიკები ხელმძღვანელობენ.

დონში ახალი მთავრობა შესდგა გენერალ ალფეროვის თავმჯდომარეობით.

ტეტმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ცენტრალური სასურსათო საბჭო გადავიდეს ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტის განკარგულებაში. ერთ ერთ მოტივათ ერობათა კავშირი ასახელებს რომ ფაქტიურად აღნიშნულ საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობდა ერობათა კავშირის რწმუნებული, და სასურსათო პოლიტიკას ადგილობრივ სამაზრო ერობები აწარმოებენ. მომავალი სასურსათო ორგანიზაცია დასახული აქვსთ ინიციატორებს, როგორც ერობათა კავშირის სახურსათო განყოფილების.

მევენახეების და მეღვინეების ყრილობა. სრულიად საქართველოს მევენახეების და მეღვინეების ყრილობა 23 ნოემბერს გაიხსნება.

კვირას 9 ნოემბერს, დილის 11 საათზე, რეალურ სასწავლებლის შენობაში დანიშნულია ამავე სასწავლებლის მოწაფეთა მშობელთა საზოგადო კრება მშობელთა წრეში დელეგატების ასარჩევად და სხვა მიმდინარე ფრიად საყურადღებო კითხვების გასარჩევად. მშობლებს სთხოვენ აუცილებლად დესწრონ. შენიშვნა: იმ მოწაფეთა, რომლთა მშობლები ქუთაისში არ იმყოფებიან, ვალდებული არიან, გამოცხადენ მათზე მზრუნველები.

საბჭოს სხდომა. 6 ნოემბერს შესდგა ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომა. სხდომა შეუდგა სასანიტარო საკითხებზე გადასახადის მოქალაქეებზე გაწერის. გაგრძელება ამავე საკითხის განსახილველათ სხდომის 7 ნოემბრისათვის დაინიშნა.

ტოლსტოის ქვრივის გარდაცვალება. „იასნი პოლიანაში“ გარდაიცვალა ლ. ნ. ტოლსტოის ქვრივი.

ბოლშევიკების შეპყრობა. ლაგოდეხის ბოლშევიკები 30 შეიპყრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს.

ვალიუტა ბათომში. ინგლისის გირვანქა სტერლინგი ქაღალდი ფასობს 740 მან. ოქროსი 610 მან. დოლარები 165 მან. ფრანკი—24 მან. იტალიური ლირა—225 მან. ოქროსი 885 მან. მარკები—9 მან. 75 კაპ. კრონები 2 მან. 50 კაპ. ნიკოლაევის ორმოცდა ათ თუმნიანები—400 მან. კერენსკის ას თუმნიანები—1250 მან.

ნავთის საქმე. ბათომისათვის ბიურო ცდილობს ბაქოს ნავთი საწყობიდან გადმოიტანოს ნავთი ბათომისთვის შესაფერ-ფასებში. ამ ჟამად ბათომში სწარმოებს ხუთ მილიონის ნავთის გადმოქაჩვა.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება უცხადებს საუბნო სასურსათო კომიტეტების საყურადღებოთ, რომ მსურველთ შეუძლიათ წაიღონ უბნისთვის საპონი 11 ამა ნოემბრამდი, ხოლო შემდეგ საპონი გადაეცემა მომხმარებელ საზოგადოებას „კოოპერაციას“ მცხოვრებლებზე დასარიგებლათ.

დამფუძნებელ კრებაში

ალ. ახალიანის სიტყვა

(თქმული 4 ნოემბერსთვეს)

ქართულ ბონების გამოშვების მესამე თვეზე ფინანსთა უწყება ახალ სამას მილიონ ემისიას გვთხოვს. ახალი ემისიის დეკრეტის პროექტს მეტად „მარტივი“ დასაბუთება აქვს, როგორც ეს უყვარს ფინანსთა მინისტრის ამხანაგს სამასი მილიონი უკვე გამოგველია და ეხლა კიდევ სამასი უნდა მოგვცეთო. როგორც წინეთ, ისე არც ეხლა, რაიმე გარკვევა ჩვენი ფულის მდგომარეობისა, რაიმე პერსპექტივა ამ ფულის საშინელს ვითარებაში.

ჩვენ, რასაკვირველია, იძულებული ვართ მივცეთ მათ ეს ფული. ჩვენ რაღაც ჯადოსნურ რკალში მოვემწყვდიეთ. რამდენიც უნდა გვთხოვონ უნდა მივსცეთ. როგორც სჩანს ამაზე მეტი საზრუნავი აღარც კი აქვს თვით უწყებას. მან იცის, რომ როდესაც მას ფული გამოელევა, ჩვენ მას მივსცემთ, ვინაიდან სხვა გზა არ გვეკნება. სხვადან თავის მაშინაზე და ბეჭდავენ. მთელი მაჟი გულის ყური შეყრობილია ამ სადა შუშაობით. სხვა ჯას ისინი ვერ ვხედავთ რომ ეებდენ. სტანოკის გზა რომ კატასტროფას გვიახლოვებს, ვერც ამას ვაჩნევთ, რომ ისინი ხედავდნენ. ჩვენი პოლიტიკა, როგორც ყველა სხვა საკითხებში, ისე აქაც პასიურია და უსიცოცხლო, ის უსიცოცხლოთ მიჩანჩალებს ცხოვრების სტიქიურ განვითარების გზით.

უწყებამ ჩვენ არ მოგვცა თავისი აზრი, ჩვენი ფულების მომავლის შესახებ ამის შესახებ. არაფერს ამბობს განმარტებითი ბარათი. ჩვენ სხვა წყაროებიდან უნდა გამოვიკვლიოთ უწყების შეხედულობა ჩვენი ვალიუტის შესახებ. ამ მიზნისათვის საკმაო მასალას გვაძლევს პრესა, სადაც ბევრი დაწერილა ამ საგანზე უწყების მეთაურთა სახელით ჩვენ მივმართავთ მინისტრის ამხანაგის ფელეტონებს.

ის სწერს: („ბობა“ № 245):

„უცხოეთის ვალიუტა: სტერლინგები, ფრანკები და ოსმალური ლირები დღითი დღე მატულობს ფასში. უცხო ვალიუტის განვირებასთან ერთად ეცემა ჩვენი მანეთის ფასი.

მანეთის ფასის დაცემა კატასტროფიულ ხასიათს ღებულობს.

რა არის ამის მიზეზი?

აგვისტოდან ოქტომბრამდე უცხო ვალიუტა ორჯერ გაძვირდა. აგვისტოში, როდესაც ინგლისელების წასვლის ხმა გავრცელდა მტკიცე ივლისის კურსი შეირყა. სექტემბერში ინგლისელები უწყებენ ევაკუაციას. კურსი სწრაფათ იწევს.

მაშასადამე ინგლისელების წასვლას დიდი როლი უთამაშია უცხო ვალიუტის გაძვირებაში. ველური, უმსგავსო ფასების მატება უცხო ვალიუტაზე აიხსნება სპეკულიატიური თამაშით.

უცხო ვალიუტის გაძვირებას თან დასდევს ჩვენი ფულის კურსის დაცემა. ამას მოყვება საქონლის გაძვირება და ერევნის მოედანის ფინანსისტები (ბ. ხჩიკვიშვილის ბოსტანში ისვრიან ქვებს) ამ ცხოვრების გაძვირებას სანიტარულ და სხვა გადასახადებს აწერენ.

ეს, რასაკვირველია, ასე არ არის.

ვალიუტაზე ფასის ზრდა არის უმთავრესი მიზეზი ჩვენი ფულის კურსის დაცემისა.

ამაში კი მუშაობს ბოროტი ხელი.

მაგალითი: ბათუმის ბანკმა „დობრ არმიის ფინანსთა მინისტრის“ პროფ. ბერნაცკის, რჩევით დაადგინეს ქართული ბონები არ მიეღოთ, რომ ლაჟი შეექმნათ ჩვენს ბონებზე. „მათდა სამწუხაროდ ეს არ მოხდა. მაშასადამე, ყოველივე უბედურობის მიზეზი ყოფილა სპეკულიანტები და ბანკები, მაგრამ, როგორც პროფ. მაგალითი გვეუბნება, ისინი მიზანს ვერ აღწევენ. ე. ი. მაგალითი ამტკიცებს სრულიად საწინააღმდეგო აზრს.

რათ ებრძვიან ჩვენს ბონებს?

მაშასადამე როგორია ჩვენი. ბონის კურსის დაცემის მიზეზი. უცხო ვალიუტაზე ფასის ზრდა არის ამის მიზეზი—გიმტკიცებს ბ. ავალიანი.

აგვისტოში ერთი სტერლინგი ღირდა 300 მან. ეხლა ღირს 700—800 მან. რატომ? იმიტომ, რომ სტერლინგი გაძვირდა თითქმის სამჯერ? როგორ, ეხლანდელი სტერლინგი მეტი ღირს, ვინემ ის ღირდა აგვისტოში? იანგარიშეთ მისი ფასი ფრანკებზე, ლირებზე, მარკებზე—ნახავთ რომ ის იმდენივე ღირს: შეიძლება ცვლილება იყოს ნახევარი ან ერთი პროც. ჩვენს მინისტრს კი ჰგონია, რომ ამ სამ თვეში სტერლინგების ფასი სამჯერ გაიზარდა და ამიტომ დაეცა ჩვენი ბონი.

წინააღმდეგ ამისა, სტერლინგის კურსიც რომ დაწეულია ამას ლლოიდ ჯორჯიც ამბობს ერთს თავის მოხსენებაში. ის აცხადებს, რომ მთავრობა ვერ დაიცავს სტერლინგის ძველს კურს. ვერ დაიცავსო, ამიტომ რომ ამას დიდძალი თანხის გაღება დასჭირდებოდა ხაზინისაგან—ლაჟის მოსაწყობად. ასე რომ ჩვენი ფინანსთა მინისტრი ტყვილა ჰფიქრობს თითქო ეხლანდელი სტერლინგი მეტი ღირდეს, ვინემ ძველი შილინგი, ან 7,35 გრამი ოქრო, ის ნაკლები ღირს, მაგრამ, რასაკვირველია მისი აწევა-დაწევა ბ-ნ ავალიანის ბონების ნახტომებს არ წააგავს.

ბ. ავალიანს უნდა ასეთი სურათი დაგვიხატოს: სტერლინგი და ბონი. მათ შორის არის პროპორცია 1: 300 ბონი კი არ ეცემა, არამედ მატულობს სტერლინგის ფასი და იმიტომ ეს პროპორცია იცვლება 1:700—800.

ეს იმდენად ახირებული აზრია, რომ მაზე მეტი ლაპარაკი შეუძლებელია.

არამც თუ ფინანსთა მინისტრს, არამედ ფინანსთა სამინისტროს შვეიცარს ჰმართებს ცოდნა, რომ სტერლინგის ფასი ასეთს ნახტომებს არასოდეს არ აკეთებს, არც ზევით და არც ქვევით, სამოდდე თვის განმავლობაში, რომ მისი ფასი ან სამჯერ გადიდდეს, ან სამჯერ მოიკლოს. თუ ეს ბ-ნ ავალიანს კიდევ არ სჯერა აიღოს სტერლინგის ფასი ფრანკებზე ან ლირებზე. ის დაინახავს, რომ ეს ფასი აგვისტოდან უცვლელია, შეცვლილია ნახევარ და ერთი პროცენტით. ნახტომებს აკეთებს და ზღაპრულად ეცემა ბ. ავალიანის ნაწარმოები.

რა არის ამის მიზეზი?

მთავარი მიზეზია ბონების განუსაზღვრელი და განუზომელი ბეჭდვა.

სრულიად გასაგები მოვლენაა. როდესაც ემისია ერთგვარ საზღვარს ამიჯავებს და დაიწყება ფულის გამოცემა მეტად, ვინემ ამას ღირებულებათა ტრიალი თხოულობს ქაღალდის ფულის კურსი ეცემა. ბევრი ჰფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში ფულის კურსის დაცემა პროპორციალურია გამოცემულ ფულის სიმრავლესთან. ე. ი. ვცემთ ჩვენ ეხლა 25 პროც. კიდევ ახალ ბონებს, უნდა დაეცეს მისი კურსი 25 პროც. ეს კანონი, რასაკვირველია, საკვირველია ერასოდეს არ მართლდება. ხშირად კურსი ეცემა გაცილებით ნაკლებ ამ ნორმის და ხშირად კი გაცილებით მეტად.

ნაკლებად ეცემა, როდესაც ფულის ნიშნების გამრავლებასთან ერთად მატულობს მოთხოვნილება ფულის ნიშნებზე. უკეთუ ჩაღდება წარმოება, იზრდება ვაჭრობა-მრეწველობა, ახალი ფული თავის პირდაპირ დანიშნულებას ემსახურება და კურსი შესაძლოა სულ არც კი დაეცეს. მაგრამ თუ ეს ფაქტორი არ არის და კიდევ სხვა ფაქტორებია საზიანო, ფულის კურსი გაცილებით მეტად დაეცემა. სწორედ ამ მოვლენას აქვს ჩვენში ადგილი. სამი თვის წინეთ ჩვენი ამიერ-კავკასიის ბონებს მიუმატეთ (რაც ჩვენ გვეკუთვნის) რაღაც 30 პროც. კურსი კი დაეცა 100 პროც. მაშასადამე კიდევ ახალი ფაქტორები ყოფილა კურსის დამცემი. ამას თვით პროფესორი აღგვინიშნავს: „ბურჟუაზია შებოჭილი არის, ის გადაყენებულია პოლიტიკურ ასპარეზიდან“, მას ჩამოერთვა მთავარი სავაჭრო საქმეები, ასე ვსთქვათ შეუმცირდა წარმოება. თუ ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერება ხელს უწყობს კურსის სიმტკიცეს, მისი ასეთი შებოჭვა, გაუქმება, ცხადია საწინააღმდეგო ნაყოფს გამოიღებს.

ჩვენი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის წინაშე ფინანსთა მინისტრის ამხანაგის სიტყვით ვაჭრობა და მრეწველობა შებოჭილი და შებორკილი არის. ფულის მთავარი დანიშნულება ხომ ერთად-ერთი იყო და უნდა იყოს.

საქონლის ტრიალის ფუნქცია. ამავე დროს ფინანსთა მინისტრი მილიონობით აყრის თავზე მას ბონებს. ნუ თუ ცხადი არ უნდა იყოს ასეთი პოლიტიკის შედეგები. მაგრამ ფულის დანიშნულება გარდა საქონლის ტრიალისა, კიდევ სხვაც არის. ეს, სახელმწიფოში ნიშანია და ესევე არის კრედიტის იარაღი. ჩვენმა ფინანსთა უწყებამ მოაგვარა გადასახადების საქმე, ან აამოძრავა საკრედიტო აპარატი? ვერც ერთი, ვერც მეორე.

ბ. ავალიანი რომ ბონებს ბეჭდავს, ამ ბონებს არავითარი ღირებულება არ აქვს სანამ ის ექსპედიციაში აწყვია. მათ ეძლევა ღირებულება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოქალაქენი და გლეხობა ე. ი. ბურჟუაზია მას მიიღებს და მასში რეალურ ღირებულობას გასცემს. ამ მესაკუთრე წრეებზე არის დამოკიდებული ფული ფულად დარჩენა თუ ის გაბათილდება. როგორ განწყობილებას ამყარებს ფინანსთა უწყება ამ წრეებთან? მე თქვენ წაგიკითხავთ „ერთობა“-ში დაბეჭდილ ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ამხანაგის წერილიდან რამოდენიმე ადგილს და ამის შემდგომ თქვენ თითონ განსაჯეთ—ემსახურება მინისტრის ამხანაგი ბონების კურსის განმტკიცებას, თუ მის დაცემას. წერილის სათაური: „შინაური მტერი“. ვინ არის შინაური მტერი, ბურჟუაზია. ბურჟუაზია, ე. ი. მესაკუთრეთა კლასი—ერის უმრავლესობა.

ხმები: (ბურჟუაზია არ არის უმრავლესობა) დიაღ ბურჟუაზია არის ერის უმრავლესობა, ვინაიდან ბურჟუაზია არის მესაკუთრეთა კლასი და საქართველოში არა მესაკუთრე, პროლეტარები თითებზე ჩამოითვლება. მაგრამ ბურჟუაზიას ბ. ავალიანის სხვა ამხანაგები, რომელნიც „ბორბაში“ დიდს წერილებს ათავსებენ, ასე უარყოფით როდი უყურებენ. ისინი დიდ პროექტებს სთხზავენ მას ყოველივე „შებოჭილი“ ყავს და ეს მოვლენა კიდევ ახარებს ჩვენს მართლაც საკვირველს მინისტრს.

(შემდეგი იქნება).

ლატარიის მოგებიანი ბილეთები.

დასასრული იხ. „ჩვ. ქვეყ.“ № 195.

მოიგეს შემდეგმა ბილეთებმა:

ახ-ახი მანეთი მოიგეს:

სერ.	ბილ.	სერ.	ბილ.
	2		
204	109	178	103
135	389	150	504
212	220	80	310
123	314	380	72
62	67	234	27
200	249	198	189
48	13	276	154
385	361	105	28
341	124	375	122
60	148	389	105
85	143	161	229
281	302	157	100
143	414	339	223
270	14	208	340
294	164	82	232
111	500	3	304
185	266	74	323
656	43	335	77
275	181	241	253
290	18	301	335
308	487	136	439
134	477	317	135
72	145	335	69
267	136	129	236
125	83	201	65
170	58	397	185
364	120	13	14
236	128	50	91
63	405	215	347
206	377	180	281

ასი ათასი მანეთი მოიგო:

სერ.	ბილ.
243	343

ორმოცდა ათი ათასი მანეთი მოიგო:

სერ.	ბილ.
297	441

ხუთი ათასი მანეთი მოიგო:

სერ.	ბილ.
124	209

ხუთას ხუთასი მანეთი მოიგეს:

სერიის №	ბილეთის №
195	333
228	442

250 მანეთი მოიგეს:

სერ.	ბილ.	სერ.	ბილ.
88	4	229	292
342	154	181	36
373	338	250	20
254	268	307	327
159	372	294	489
2	11	81	447
237	450	115	59
297	486		

ას ასი მანეთი მოიგეს:

სერ.	ბილ.	სერ.
71	404	192
357	322	96
193	150	168
378	328	291
359	467	108
337	482	258
138	471	279
332	435	327
339	232	194
295	494	312
138	144	212
128	83	223
232	23	322
227	303	265
210	12	133
352	114	1
122	287	340
13	137	280
109	101	48
107	182	285
148	62	371
99	152	87
89	171	75
369	9	139
260	60	90
16	385	344
202	65	200
321	258	180
103	213	304
11	274	323
38	457	60
117	5	144
362	92	372
326	30	268
336	331	124
173	6	4
113	244	62
78	206	154
58	64	74
120	205	289
120	205	35
303	71	109
165	298	160
157	190	61
264	289	127
37	356	102
356	264	37
182	118	387
284	376	189
400	159	367
84	131	83
375	153	199
366	418	18
190	393	7
305	184	349
156	85	369
153	497	79
50	199	203
324	403	395
143	173	316
204	257	142
347	451	73
377	21	214
91	431	64
152	82	391
114	268	033
283	39	34
201	355	319
28	349	145
361	345	320
135	288	287
69	67	388
86	127	110
218	427	286
235	125	101
121	54	288
97	267	310
5	215	67
333	56	98
125	439	197
177	156	162
132	237	176
224	94	140
269	241	80
263	188	314
217	500	335
351	322	10
193	105	348
205	259	334
213	164	353
276	357	100
381	386	111
252	286	170

სტამბა ნ. ჭელიძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.